

**ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა
დაცვის ევროპის კონვენციის
ოქმი 6**

სიკვდილის დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით
სტრასბურგი. 28 აპრილი 1983 წელი

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში კონვენციის) წინამდებარე ოქმს, მიიჩნევენ, რა რომ განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპის საბჭოს რამდენიმე სახელმწიფოში, გამოხატავს საერთო ტენდენციას სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1 - სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა უქმდება. რაგის არ შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან დაისაჯოს სიკვდილით.

მუხლი 2 - სიკვდილით დასჯა ომის დროს

სახელმწიფოს შეუძლია გაითვალისწინოს თავის კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ომის ან მისი ვარდაუვალი საფრთხის არსებობის დროს; ამგვარი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ კანონის შესაბამის დებულებებს.

მუხლი 3 - ოქმის დებულებებიდან გადახვევის აკრძალვა

დაუშვებელია წინამდებარე ოქმის დებულებებიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 4 - დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია წინამდებარე ოქმის მიმართ დათქმების გაკეთება კონვენციის 57-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 5 - ოქმის მოქმედება ტერიტორიებთან მიმართებაში

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის ან თავისი სარატიფიკაციო სიგელის ამ მიღების ან მოწონების დოკუმენტის შესანახად გადაცემის დროს მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზედაც ვაჟრცელდება წინამდებარე ოქმი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოგვიანებით ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის დეკლარაციის ვაგ ზავნის ვხით, ვაჟრცელოს წინამდებარე ოქმის გამოყენება ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, რომელიც მითითებულ იქნება დეკლარაციაში. ასეთი ტერიტორიების მიმართ ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების თარიღს.

3. ორი წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რომელიც ეხება იქ მითითებულ რომელიმე ტერიტორიას, შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე ვაგ ზავნილი შეტყობინების ვხით. გამოთხოვა ძალაში შედის მომდევნო თვის პირველ დღეს, რომელიც მოჰყვება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების თარიღს.

მუხლი 6 - კონვენციასთან მიმართება

ძალადი ხელშეკრული მხარეები მიიხნევენ წინამდებარე ოქმის 1-დან მე-5 მუხლებს, როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და შესაბამისად გამოიყენება კონვენციის ყველა დებულება.

მუხლი 7 - ხელის მოწერა და რატიფიკაცია

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან მოწონებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია წინამდებარე ოქმის რატიფიცირება, მიღება ან მოწონება კონვენციის ერთდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. სარატიფიკაციო სიგელები ან დოკუმენტები მიღების ან მოწონების თაობაზე გადაეცემა შესაბამისად ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 8 - ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს თარიღს, როდესაც ევროპის საბჭოს ხუთმა წევრმა გამოხატა თავისი თანხმობა დაექვემდებაროს ოქმს, მე-7 მუხლის დებულებების შესაბამისად.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოგვიანებით გამოთქვამს თანხმობას შეასრულოს ოქმით ვათვალისწინებული ვალდებულებები, ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სარატიფიკაციო სიგელების ან მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტების შესანახად ჩაბარების თარიღს.

მუხლი 9- სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩამბერებელი პირის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს საბჭოს წევრ სახელმწიფოებს

- ა) ნებისმიერი ხელმოსწერის შესახებ;
- ბ) სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ;
- გ) მე-5 და მე-8 მუხლების შესაბამისად ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- დ) ნებისმიერი სხვა მოქმედებების, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება წინამდებარე ოქმს.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 28 აპრილს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში; ამასთან ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიური. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უვ ზავნის დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრს.